თიბისი კაპიტალი

# COVID-19: აღდგენის დინამიკა

03.07.2020


**ოთარ ნადარაია**
მთავარი ეკონომისტი, თიბისი ჯგუფი

**ალექსანდრე ბლუაშვილი**
მიკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილების უფროსი, თიბისი ბანკი

**მერი ჩაჩანიძე**
მმართველი დირექტორი, თიბისი კაპიტალი

**თორნიკე კორძაია**
კვლევების უფროსი, თიბისი კაპიტალი

# მოკლე შეჯამება

- ივნისის ბოლოსთვის გაცემული ახალი იპოთეკური სესხების 7 დღის საშუალო მაჩვენებელმა პანდემიის შემდეგ პირველად გადაუსწრო იან-თებ პერიოდის საშუალოს. ზრდამ ბოლო კვირაში +11% შეადგინა
- საჯარო რეესტრში გაყიდული ბინების ტრანზაქციებში მკვეთრი გაუმჯობესება შეინიშნება. წლიურმა ცვლილებამ -26% შეადგინა, ხოლო წინა კვირაში იგივე მაჩვენებელი -41% იყო
- ივნისის პირველი კვირის მაღალი მაჩვენებლის შემდეგ, ტანსაცმელზე უნაღდო ხარჯვა ზრდის მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს. წლიურმა ზრდამ +34% შეადგინა
- სამშენებლო მასალებსა და გრძელვადიან საქონელზე უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი მცირედით შენელდა
- საკვებ ობიექტებში ხარჯვა ეტაპობრივად უმჯობესდება. გასულ კვირაში ზრდის ტემპმა წ/წ -29% შეადგინა
- ივლისში რეგიონის სასტუმროების დატვირთულობა გასულ კვირასთან შედარებით 4 პპ-ით გაიზარდა; ივლისში 4% სამომავლო დატვირთულობა ფიქსირდება თბილისში, 6% ბათუმში, 11% რეგიონში
- მარტის შემდეგ გაკეთებული ჯავშნები არსებული ჯავშნების დაახ. 75%-ს შეადგენს რეგიონის სასტუმროებისთვის, 50%-მდეა ბათუმში და 20%-ზე ნაკლებია თბილისის სასტუმროებისთვის
- კურსის ეფექტის გამორიცხვით, საგარეო გადარიცხვები ივნისის მეოთხე კვირაში წ/წ 2%-ით გაიზარდა

*სექტორული ზრდები მოცემულია თიბისი ბანკის არხებით POS და ელ-კომერციის ხარჯვაზე დაყრდნობით; მოცემული ზრდები შესაძლოა განსხვავდებოდეს სექტორებში ბრუნვის ჯამური დინამიკისგან უნაღდო დანახარჯების წილის ცვლილების, ასევე თიბისის საბაზრო წილის ცვლილების გამო

# საცხოვრებელი უძრავი ქონება: ახალი იპოთეკური სესხების გაცემებმა იან-თებ ყოველკვირეულ საშუალოს გადააჭარბა, რეგისტრირებული ტრანზაქციების აღდგენის დინამიკა დაჩქარდა

## იპოთეკური სესხების გაცემის ცვლილება იან-თებ საშუალოსთან შედარებით (კურსის ეფექტის გამორიცხვით, 7 დღის საშუალო)




წყარო: თიბისი ბანკი

## ბინების გაყიდვის ტრანზაქციების რეგისტრაციის დინამიკა თბილისში (7 დღის საშუალო)




წყარო: საჯარო რეესტრი

- ივნისის ბოლოსთვის გაცემული ახალი იპოთეკური სესხების 7 დღის საშუალო მაჩვენებელმა პანდემიის შემდეგ პირველად გადაუსწრო იან-თებ პერიოდის საშუალოს. ზრდამ ბოლო კვირაში +11% შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ცვლილება -65%-ს გაუტოლდა, რაც 2019 წლის ივნისის ბოლოს ძლიერი საბაზისო ეფექტით აიხსნება

- 25 ივნისის მდგომარეობით, თბილისში გაყიდული ბინების 7 დღის საშუალო მაჩვენებლის ცვლილება წინა კვირის მაჩვენებელთან (-41% წ/წ) შედარებით გაუმჯობესდა და წ/წ -26% შეადგინა. იან-თებ პერიოდის საშუალოსთან შედარებით კლება -10%-ს შეადგენს

- მიმდინარე კვირაში უძრავი ქონების მხარდაჭერის მთავრობის გეგმა ამოქმედდა, რაც ზრდის დაჩქარებას გამოიწვევს (შესაძლო ეფექტი ჩვენს მონაცემებში შემდეგი კვირიდან იქნება ასახული)

# რეალური მშპ მკვეთრად შემცირდა აპრილსა და მაისში



**რეალური მშპ და კომპანიების ბრუნვა* (ცვლილება წ/წ, %)**




- 2020 წლის პირველი კვარტლის მცირე, მაგრამ დადებითი ზრდის (+2.2%) შემდეგ, რეალური მშპ აპრილსა და მაისში -16.6%-ით და -13.5%-ით შემცირდა, შესაბამისად
- COVID-19-ის გავრცელებამ კომპანიების ბრუნვა -33%-ით და -22%-ით შეამცირსა აპრილის და მაისის თვეში შესაბამისად

წყარო:საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო; *შენიშვნა: 1კ-ის და 5 თვის რეალური მშპ წარმოადგენს მარტივ საშუალოს და კომპანიების ბრუნვა მოიცავს დღგ-ს გადამხდელ კომპანიებს

# უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი სურსათისა და ფარმაციის კატეგორიებში სტაბილურია

## რეზიდენტების უნაღდო დანახარჯები (წ/წ ცვლილება)




## ჯამური უნაღდო დანახარჯები სურსათსა და ფარმაციაზე (წ/წ ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

- რეზიდენტების მიერ უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდის ტემპი სურსათის და ფარმაციის გარდა კატეგორიებში მცირედით შემცირდა და 29% შეადგინა
- უნაღდო ხარჯვის ზრდა სურსათსა და ფარმაციაზე სტაბილურობას ინარჩუნებს, წლიურმა ზრდამ 40% და 41% შეადგინა, შესაბამისად

# უნაღდო ხარჯვა ტანსაცმელზე სტაბილურია; ხარჯვა გართობაზე მცირედ გაუმჯობესდა

## უნაღდო დანახარჯები ტანსაცმელსა და აქსესუარებზე (წ/წ ცვლილება)




## უნაღდო დანახარჯები გართობასა და ფიტნესზე (წ/წ ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

- ტანსაცმელზე უნაღდო დანახარჯები ივნისის პირველ კვირაში მკვეთრი ზრდის შემდეგ სტაბილურია. ივნისის თვის მეოთხე კვირაში წლიურმა ზრდამ +34% შეადგინა, რაც გადავადებული მოთხოვნის ეფექტის გასვლას უკავშირდება
- გართობაზე უნაღდო დანახარჯების წლიურმა ცვლილებამ -61% შეადგინა, რაც წინა კვირის მაჩვენებელთან (-67%) შედარებით მცირედით გაუმჯობესებას ასახავს
- COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციების გამო, ბოლო ორი თვის განმავლობაში ფიტნესზე უნაღდო დანახარჯები კვლავ მკვეთრად შემცირებულია

# უნაღდო ხარჯვები სამშენებლო მასალებზე და გრძელვადიან საქონელზე მცირედით შემცირდა

## უნაღდო დანახარჯები სამშენებლო მასალებსა და გრძელვადიანი მოხმარების საქონელზე (წ/წ ცვლილება)




- სამშენებლო მასალებზე უნაღდო დანახარჯების ზრდა წინა კვირასთან შედარებით მცირედით შემცირდა და 23-29 ივნისის კვირაში წ/წ +44% შეადგინა
- გასულ კვირაში შედარებით შემცირდა უნაღდო ხარჯვა ავეჯსა და საყოფაცხოვრებო საქონელზე. წლიურმა ზრდამ 23-29 ივნისის კვირაში წ/წ +26% შეადგინა, იგივე მაჩვენებელი წინა კვირაში 30% იყო
- წინა კვირასთან შედარებით, შესამჩნევად შემცირდა ელექტრონიკაზე უნაღდო ხარჯვის ზრდის ტემპი და წ/წ +12% შეადგინა

წყარო: თიბისი ბანკი

# უნაღდო ხარჯვა პირად ჰიგიენაზე იზრდება ხოლო სხვა სამომხმარებლო საქონელსა და ტრანსპორტირებაზე დაახლოებით იგივე ზრდის ტემპს ინარჩუნებს



## უნაღდო დანახარჯები პირად ჰიგიენასა და სხვა სამომხმარებლო საქონელზე (წ/წ ცვლილება)




## უნაღდო დანახარჯები მანქანის შეკეთებაზე, საწვავზე და ტრანსპორტზე (წ/წ ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

- უნაღდო დანახარჯები პირად ჰიგიენაზე მცირედით გაიზარდა და წ/წ 21% შეადგინა, ხოლო სამომხმარებლო საქონელზე ხარჯვის ზრდის ტემპი სტაბილურია და -2%-ს შეადგენს
- ბოლო შვიდი კვირის განმავლობაში მანქანის შეკეთებაზე დანახარჯებში მკვეთრი ზრდები დაფიქსირდა და ზრდამ 43%, 40%, 54%, 45%, 35%, 36% და 42% შეადგინა, შესაბამისად
- ივნისის მეოთხე კვირაში საწვავზე უნაღდო დანახარჯები წლიურად -14%-ით შემცირდა, რაც ნაწილობრივ შემცირებულ ფასებს უკავშირდება

# ექიმთან ვიზიტებზე უნაღდო დანახარჯებში მკვეთრი ზრდა შეინიშნება

**უნაღდო დანახარჯები ექიმთან ვიზიტზე და სამედიცინო აღჭურვილობაზე (წ/წ ცვლილება)**




- უკანასკნელი ხუთი კვირის განმავლობაში ექიმთან ვიზიტებზე უნაღდო დანახარჯებში ზრდის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა და 23-29 ივნისის კვირაში წ/წ +60% შეადგინა

წყარო: თიბისი ბანკი

# უნაღდო დანახარჯები სასტუმროებში მცირედით უმჯობესდება, საკვები ობიექტები სტაბილურ აღდგენას განაგრძობს 

### ჯამური უნაღდო არა-რეზიდენტების დანახარჯები (წ/წ ცვლილება)




### უნაღდო დანახარჯები განთავსებასა და გარეთ კვებაზე (წ/წ ცვლილება)




წყარო: თიბისი ბანკი

- ადგილობრივი ტურიზმის ხარჯზე, მიმდინარე კვირაში სასტუმროებში უნაღდო ხარჯვის წლიური ზრდა -79%-მდე გაუმჯობესდა, გასული ორი კვირის -84%-თან და და -88%-თან შედარებით,
- შეზღუდვების შერბილების შემდეგ გაუმჯობესება გრძელდება რესტორნებში დანახარჯებზე. ბოლო 6 კვირის განმავლობაში წლიურმა ზრდამ -70%, -62%, -47%, -40%, -34% და -29% შეადგინა

# სასტუმროების გამოკითხვა 01.07.2020: ადგილობრივი ტურიზმის ხარჯზე რეგიონის სასტუმროებში ივლისის დატვირთულობები გაზრდილია



## დატვირთულობის მაჩვენებელი (%) მიმდინარე ჯავშნებით (1-28 ივნ ფაქტი)




## ცვლილება ჯავშნებში (პ.პ.) ბოლო კვირის განმავლობაში*




- ივლისის თვის მიმდინარე ჯავშნების მიხედვით თბილისში დატვირთულობა 4%-ია, ბათუმში 6% და რეგიონებში 11%
- გასულ კვირასთან შედარებით დატვირთულობა გაზრდილია რეგიონის სასტუმროებისათვის, შედარებით სტაბილურია ბათუმში და შემცირდა თბილისში
- გასულ უქმეებზე რეგიონის ზოგიერთ სასტუმროში დატვირთულობა 70%-დან 90%-მდე მერყეობდა
- გამოკითხულ სასტუმროებში დატვირთულობა მაღალია მომდევნო თვეებში, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მოსალოდნელია გაუქმდეს ვინაიდან ჯავშნების უმეტესობა COVID-19-მდე პერიოდშია განხორციელებული. ჯავშნების მცირე ნაწილი ადგილობრივი მოთხოვნის ხარჯზე ჩანაცვლდება
- რეგიონის სასტუმროების საშუალო დღიური ფასი ივლისში 50%-მდეა შემცირებული. ბათუმში შედარებით მცირე ფასდაკლებები ფიქსირდება.

## ჯავშნები პერიოდის მიხედვით** (%)




წყარო: 22 ბრენდული სასტუმროს გამოკითხვა; *შენიშვნა: ჯავშნებში ცვლილება წინა შერჩეული სასტუმროების ჯგუფის განსხვავებას ასახავს

**შენიშვნა: წილები დაფუძნებულია სხვადასხვა შერჩეულ სასტუმროებზე (ასევე მოიცავს ახალ სასტუმროებს)

# უნაღდო დანახარჯების სექტორული ხარჯვის დინამიკის შეჯამება




წყარო: თიბისი ბანკი

# ფულადი გზავნილების დინამიკა მზარდია



## ფულადი გადარიცხვების დინამიკა (წ/წ ცვლილება გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 7 დღიანი მცოცავი საშუალო)




## ფულადი გადარიცხვების დინამიკა ქვეყნების/რეგიონების მიხედვით (წ/წ ცვლილება გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)

| ქვეყანა/რეგიონი | 1-7 ივნ | 8-14 ივნ | 15-21 ივნ | 22-28 ივნ |
|---|---|---|---|---|
| ევროკავშირი და ბრიტანეთი | 8% | 21% | 28% | 12% |
| ახლო აღმოსავლეთი | 29% | -7% | 8% | 8% |
| რუსეთი | -31% | -34% | -21% | -17% |
| ჩრდილოეთ ამერიკა | -1% | 7% | 18% | 23% |
| უკრაინა | 24% | 66% | 130% | 197% |
| სომხეთი | 32% | 43% | 39% | 29% |
| აზერბაიჯანი | 207% | 171% | 298% | 96% |
| სხვა დსთ | -10% | 22% | -20% | 3% |
| **სულ კურსით შესწორებული ზრდა** | **-2%** | **-1%** | **6%** | **2%** |

- 28 ივნისის კვირაში ფულადი გზავნილები წ/წ 2%-ით გაიზარდა
- შემოდინებები უკრაინიდან მკვეთრად გაზრდილია, ასევე ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებს შემოდინებები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და ჩრდ. ამერიკიდან. რუსეთიდან შემოდინებების ზრდის ტემპი კვლავ ნეგატიურია. დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან შემოდინებების წლიური ცვლილება კვლავ დადებითი გახდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქეთის ჩათვლით) შემოდინებების დადებითი ზრდის ტემპი დაფიქსირდა
- შემოდინებების ზრდა ევროკავშირიდან და დიდი ბრიტანეთიდან მცირედით შემცირდა, მაგრამ კვლავ ყველაზე დიდ წილს იკავებს ჯამურ შემოდინებებში

წყარო: თიბისი ბანკი

# პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

პრეზენტაციაში მოცემული განაცხადები, ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - თიბისი კაპიტალის აზრებს და არ წარმოადგენს თიბისი ჯგუფის ოფიციალურ ხედვას, მოსაზრებას ან პოზიციას. პრეზენტაციაში მოცემული ინფორმაცია მხოლოდ საინფორმაციო მიზნებს ემსახურება და მოკოვებულია საჯარო წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, თუმცაღა ინფორმაციის სისრულე და სიზუსტე არ არის გარანტირებული

ეს რეპორტი არ წარმოადგენს საჯარო შეთავაზებას ნებისმიერი შესაბამისის კანონმდებლობის ქვეშ ან/და ნებისმიერ ფასიანი ქაღალდის და ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვის/შეთავაზების მცდელობას ან/და რეკომენდაციას მსგავს ფასიან ქაღალდებთან ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ეს პრეზენტაცია შესაძლოა მოიცავდეს პროგნოზის შემცველ განაცხადებს; მსგავსი პროგნოზის შემცველი განაცხადები მოიცავენ ნაცნობ და უცნობ რისკებს, გაურკვევლობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. არცერთი ამ პრეზენტაციაში მოცემული პროგნოზი, მოლოდინები, გათვლები არ უნდა იყოს აღქმული როგორც პროგნოზი ან დაპირება, ასევე არ უნდა იყოს აღქმული როგორც ნებისმიერი მინიშნება, რწმუნება ან გარანტია რომ დაშვებები, რომლებსაც მოცემული პროგნოზები, მოლოდინები ან გათვლები ემყარება არის ზუსტი და ამომწურავი, ან დაშვებების შემთხვევაში რომ რეპორტი მოიცავს ყველა დაშვებას

არც თიბისი ჯგუფი და არც მოცემული რეპორტის ავტორები არ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დანაკარგის, რომელიც წარმოიშობა ამ პრეზენტაციის ან მისი შემადგენელი ნაწილების ან პრეზენტაციის ნებისმიერი კავშირის გამოყენების შემთხვევაში. პრეზენტაცია დაცულია საავტორო უფლებებით და მისი არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს აღდგენილი, თავიდან გამოქვეყნებული ან/და განაწილებული. ყველა უფლება დაცულია

**მერი ჩაჩანიძე, CFA**
მმართველი დირექტორი

**თორნიკე კორძაია, CFA**
კვლევების უფროსი

**გივი ადეიშვილი**
უფროსი ასოცირებული მკვლევარი

**ანდრო თვალიაშვილი**
ასოცირებული მკვლევარი

**ლუკა ჩიგილაშვილი**
ასოცირებული მკვლევარი

**ოთარ ნადარაია**
მთავარი ეკონომისტი, თიბისი ჯგუფი

**ალექსანდრე ბლუაშვილი**
მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილების უფროსი, თიბისი ბანკი

**ანა მჭავანაძე**
ანალიტიკოსი

**მიხეილ მღებრიშვილი**
სტაჟიორი

Tel: +995 32 2 272727
Email: research@tbccapital.ge
Web-page: www.tbccapital.ge; www.tbcresearch.ge